თუჯის ღერები

ჩემი უბანი 90-იანების მერე არ შეცვლილა.

როგორიც იყო, ზუსტად ისეთივე დარჩა. იგივე ორმოები, იგივე ბოძები, ბევრი ბრძოლის შედეგად - იგივე ხეებიც. ხანდახან კორპუსს რომ მივუახლოვდები ხოლმე, უეცრად მახსენდება ხუთი წლის რომ ვიყავი და აქ პირველად შემოვდგი ფეხი. დიდი ქვები და მათზე გადებული სკამიც კი უცვლელია. გარაჟებიც მეტროს მგზავრების უხერხულობით იყვნენ ერთმანეთზე აყუდებული და მიწოლილი.

მესამეზე ცხოვრობდა ერთი კაცი, სრულიად მარტო. ხუთი წლისამ, პირველად რომ შემოვიხედე ამ უბანში, სწორედ მას გავუყარე თვალი თვალში. ისიც მიყურებდა, მეც ვუყურებდი. უსახელო მაისურით იდგა აივანზე და სიგარეტს ეწეოდა. თხელი თუჯის საფერფლე ედო მოაჯირზე. ხელში ფილტრიანი სიგარეტი ეჭირა, რაც მაშინ დიდი ფუფუნების ნიშანი იყო. ფილტრიანი სიგარეტი ხელს ისე უხდებოდა, როგორც ძვირფასი საათი მაჯას.

რაღაცით მივხვდი, რომ საბჭოთა დროს მაღალი თანამდებობა ეჭირა. უბნის მასშტაბით ნამდვილად სახელოვანი კაცი იქნებოდა ერთ დროს. თავისი წარსული სტატუსიდან ახლა მხოლოდ ფილტრიანი სიგარეტი და ლამაზი, თხელი თუჯის საფერფლე შემორჩენოდა.

მთელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის. აი, გამარჯობით ვიცნობო - მაგასაც ვერ ვიტყოდი. მარტო ერთხელ, ასე ათი წლის რომ ვიყავი, მე და ჩემ კლასელს დაგვიძახა, ამოდით ერთი წამითო. ცოტა გაგვიკვირდა, მაგრამ მივხვდით რაღაც უნდა დაევალებინა. ბავშვები მაშინ უფასო მუშა ხელი და ამანათების დამრიგებლები ვიყავით.

ავედით. შავი სახლი ჰქონდა, შავად გამურული კედლები. ორპირის სუნი იდგა, ციოდა შიგნით. ძველი ავეჯი ისე შავად იყო ოთახებში ჩაძირული, რომ ბინა ცარიელი გეგონებოდა.

გურგენა ძიამ ძველი, გაძენძილი საფულე ფრჩხილებით გამოფხიკა და ყვითელი ორმოცდაათეთრიანები მოგვცა. მაღაზიაში ჩადით და მაწონი ამომიტანეთო.

ავუტანეთ.

და მერე ისევ ისე გაგრძელდა. აივანზე იდგა და აბოლებდა სიგარეტს. ოღონდ ცოტა უცნაურად ეწეოდა. ნაფაზის მოქაჩვისას ხომ ყველა სახეს ჭიმავს, ტუჩებს პრუწავს, მაგრამ გურგენა ძია არა. გაქვავებული სახით იდგა და აბოლებდა, იყურებოდა, უყურებდა უბანს, უყურებდა გარაჟებს, უყურებდა როგორც რაღაც ნახატს, პეიზაჟს,

ლანდშაფტს - ახლოდან უყურებდა, მესამე სართულიდან ყველაფერი ხელის გულზეა, მაგრამ თითქოს მაინც სიღრმეში იხედებოდა. თითქოს ჩვენი უბნის არსს ჩაჰყურებდა, ვერაფერს ხედავდა და ამ სიცარიელეს იყო გადამტერებული. ვესტერნული დუელის მოლოდინში იდგა აივანზე და უხილავ, უარსო მტერს უშიშრად აბოლებდა სახეში.

სიგარეტი რომ ჩაიწვებოდა, ამაყად ჩასრესდა საფერფლეში, მეტოქეს ანიშნებდა, ესეც შენო და გამარჯვებული ისევ სახლში შედიოდა, ცოტა ხნით.

ესე გავიდა ორი ათწლეული. ერთხელაც მეათე სადარბაზოსთან ჩავიარე და აივანზე გურგენა ძია ვერ დავინახე. ჩავთვალე, ცუდად გახდა-მეთქი, ალბათ. კი, ასაკში იყო, მაგრამ თითქმის არ ეტყობოდა. ოცი წლის წინაც ბებერი იყო. ოცმა წელიწადმა ისე გაიარა, თითქოს ეს კაცი არც დაბადებულა და არც დაბერებულა.

მეორე დღეს ხალხი დამხვდა შეკრებილი, მიხვრა-მოხვრაზე მივხვდი რომ პანაშვიდზე იყვნენ მოსულები. გურგენა ძია წავიდა - ვიფიქრე ჩემთვის. მანამდე, ყველა სხვა ადამიანზე ვფიქრობდი რომ მოკვდა-მეთქი. თუ მეტყოდნენ კიდეც, იცი, ჩვენი შორეული ახლობელი, ესა და ეს ადამიანი გარდაიცვალაო, ვფიქრობდი - მოკვდა-მეთქი.

მაგრამ გურგენა ძიაზე თავისით გამეფიქრა რომ წავიდა. ძალიან ამაყი იყო, ძალიან ძლიერი? თუ რატომ? რა შეიცვალა... გურგენა ძია რატომ არ მოკვდა? გურგენა ძია წავიდა. კიდევ ერთი წიგნი დაიხურა თბილისში.

აივანზე ავიხედე და თუჯის საფერფლე ისევ თავის ადგილას დამხვდა. ნამწვავები ბამბუკის ჩხირებივით. მარტო ერთი ღერი იყო ოდნავ გამოწეული, საკონტროლო გასროლასავით, საბედისწერო მახვილივით.

იმ ღამით არ დამეძინა. სანერვიულო ჩემიც არ მეკლდა, გურგენა ძია არაფერ შუაში იყო. პატარა აღარ ვიყავი, ოცი წლის მანძილზე ბლომად ხალხი მკვდარი მყავდა ნანახი, ზოგიც გარდაცვლილი, კუბოებზე მიწები მიყრია და ბელტების რახუნის ხმა მისმენია. ჟამთა სვლისა და მასში სიკვდილის მონაწილეობა ვეღარ მაშინებდა. სიკვდილის ისე მეშინოდა, როგორც ნებისმიერ სხვას, მაგრამ გურგენა ძიას წასვლამ ეს შიში სადღაც გაყინა თითქოს. თან ეს წასვლაც რაღაც ახალი იყო ჩემში. ჩემს კლასელს მივწერე - გურგენა ძია გარდაიცვალა, ხომ არ ავიდეთ-მეთქი.

ჩემი კლასელი საქართველოში არ იყო.

ჩემი კლასელი საქართველოში მას მერე არ ყოფილა, რაც გურგენა ძიამ მაღაზიაში გაგვაგზავნა.

მეორე დღეს წავიდა ამერიკაში და აღარც დაბრუნებულა.

ვერც კი გამიხსენა ვინ ვიყავი.

მე კი გუშინდელივით მახსოვდა და ცოტა გამიკვირდა კიდეც.

მერე სინანული მომაწვა. სინანული რომ გურგენა ძიას უფრო კარგად არ ვიცნობდი. ვინ იცის, რამდენი რამის მოყოლა შეეძლო ჩემთვის. რამდენი რამის თქმა, დარიგება, იქნება კარგი ლიტერატურული მეგობარიც კი ყოფილიყო - უბნის კოლორიტი. ახალგაზრდების ძმაკაცი გურგენა ძია. წარმოვიდგინე, როგორ ავიდოდი ერთ დღეს, გამოველაპარაკებოდი, იქნებ სიგარეტი მეთხოვა. კი არ ვეწეოდი მაგრამ, გურგენა ძიასთან ერთად ერთხელ მაინც არ უნდა გამებოლებინა? ამ ფიქრებში გართულს მეჩვენა, რომ მისგან ნათქვამი „კარგი ბიჭი ხარ შენა“ ყველაზე ძვირფასი იქნებოდა, და ვირწმუნე რომ ძალიან ბევრი დავკარგე. მთელ ტანში დამიარა იმ სითბოს ნაკლებობამ, რაც ამ ფრაზაში შეიძლებოდა ჩაქსოვილიყო.

ძალიან მეწყინა და საკუთარ თავზეც კი დამწყდა გული, ამდენი დრო ისე გავფლანგე, რომ ჩემი მეზობელი არ გავიცანი. დროსაც ვერაფრს მოვუხერხებდი და ჩემი გამოუსწორებელი შეცდომა მარადიულ დამღად მემჩნეოდა სულში.

სიზმარში თვალწინ მედგა კაცი, რომელიც შემაღლებულ აივანზე იდგა, თუჯის საფერფლე ედგა წინ, გარშემო თითქმის არაფერი, დაჟინებით იყურებოდა უარსობაში და თვალს არ აცილებდა მას. არხეინად აბოლებდა, ვითომც აქ არაფერიო და ხელები ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი. რაღაც ბრძოლას იბრძოდა რაღაც უარსობასთან, რომელზეც ჩვენ წარმოდგენაც არ გვქონდა. მე კი მაინტერესებდა, ძალიან დამაინტერესა, ცნობისმოყვარეობამ შურითაც კი ამავსო. თითქოს საიდუმლო კლუბი არსებობდა, სადაც მხოლოდ გურგენა ძია იყო და მასში გაწევრიანების ერთადერთი შანსი დროის მარადისობაში სამუდამოდ დავკარგე.

აივანზე, შემოდგომის სუსხიან ნიავში იდგა კაცი და აბოლებდა. აპროტესტებდა უარსობას. იდგა, უკან არ იხევდა, თითქოს ეუბნება, აი, აქ ვარ, გხედავ, გიყურებ და შენი არ მეშინიაო.

და მის ფონზე, სადღაც იქვე, ქვემოთ დავინახე ჩემი თავი. ჩემი თავი, რომელიც სულ აგვიანებდა თავის პატარა საქმეებზე, თავის პატარა ქალაქში, თავის პატარა სამსახურით და თავისი პატარა ცხოვრებით, თავისი პატარა აზრებითა და ამბიციებით. ეს კაცი კი უარსობას შეერკინა და ოცწლიან ომს მარტოდმარტო აჩაღებდა. იბრძოლა ბოლომდე, თავდაუზოგავად, ერთი გონჯი არ დაუთმია. ერთი წარბი არ შეუხრია. ერთი არ დაუჩივლია.

მეორე დღეს სამძიმარზე ავედი. ცხედარს შემოვუარე. გურგენა ძია ისევ ისეთი იყო, როგორიც ბოლოს რომ ვნახე. ისევ ისეთი იყო, როგორიც ოცი წლის წინ რომ ვნახე. და ისევ ისეთი იყო, როგორიც ყოველთვის იყო და იქნებოდა მუდამ. მერე მისი

ქალიშვილი დავინახე. მივედი, მივუსამძიმრე, ბოდიში მოვუხადე და ვთხოვე, მამაშენის თუჯის საფერფლე შეიძელბა რომ დავიტოვო-მეთქი.

თავიდან არ შეუმჩნევია, კიო. ისე დამეთანხმა, თითქოს ვერც გაიგო რა ვუთხარი. მემგონი მართლა ვერ გაიგო. ორი დღეა სამძიმარს ეუბნება ხალხი და ყველას თავს უქნევს, მეც ამ რიტმში დამიქნია თავი. მაგრამ აივანზე რომ გავედი და თუჯის საფერფლე მართლა ავიღე უკვე ძალიან გაოცდა, მერე სიგარეტები სანაგვეში ჩავყარე, ეს პატარა თუჯის ფირფიტა გავასუფთავე - აქ კი გაოცება ვეღარ დამალა.

სანამ რამეს მეტყოდა, მე დავასწარი:

- მამათქვენს ძალიან დიდ პატივს ვცემდი, ეს საფერფლეც ყოველთვის ძალიან მომწონდა და მინდა რომ მისგან სახსოვრად მქონდეს. თუ გადაიფიქრეთ, არ მეწყინება. შემიძლია დაგიტოვოთ.

- არა, არა... - ახლა უკვე გვიანი იყო უკან დახევა. ვერ მეტყოდა მამაჩემის საფერფლე შენ რათ გინდაო. არც მეტყოდა. სადღაც გახარებული და აღტაცებულიც კი იყო, რომ სრულიად უცხო, ახალგაზრდა კაცი მამამისის მიმართ ასე იყო განწყობილი - გქონდეს, თუკი შენთვის ასეთი ძვირფასია. გამიხარდება, რომ მამაჩემს ამით მოიგონებ ხოლმე.

საფერფლე ჯიბეში ჩავიდე და წამოვედი. გასვენებაში არ მივსულვარ. ჩემი არსით ვიცოდი, რომ იმ გასვენებაში უბრალოდ ცხედარი უნდა დაეკრძალათ. გურგენა ძია ჩვენთან აღარ იყო. გურგენა ძია თავისით წავიდა. არ უთხოვია გამომშვიდობება. რომ სდომოდა, გაგვაგებინებდა.

საფერფლე მაგიდაზე დავიდე. ჩემი გოგოს დატოვებული სიგარეტი ამოვიღე უჯრიდან. მოვუკიდე, ოდნავ მოვქაჩე და საფერფლეში ჩავდე. სიგარეტმა ნელ-ნელა დაიწყო წვა. კვამლი გაუშვა. ხან ფანჯარაში გავიხედე, ხან სიგარეტს ვუყურე. მერე ისევ ფანჯარაში და ჩემს უბანში გამეფებული უარსობა დავინახე, მტერი შვიცანი, რომელსაც მალევე გავუსწორე და გავაწვდინე თვალი. მარტო ჩემს უბანში კი არა, მთელს ქალაქსა და ქვეყანას იყო გადაფარებული. უზარმაზარი, უკიდეგანო, უარსო სიცარიელის გარსი - მარადიული.

მეც ვზივარ, ვუყურებ, თვალს ვუსწორებ და გურგენა ძიასგან ვიცი, რომ არ უნდა შევუშინდე. არცერთი გონჯი არ უნდა დავუთმო. მასთან ბრძოლას არც ყიჟინა სჭირდება, არც გავეშება. ვზივარ, ჩუმად ვუცქერ, ჩუმად ვუყრი თვალში თვალს, დაჟინებული და თამამი.

იგივე უბანი, იგივე უძირო ორმოები, იგივე ერთმანეთს აყუდებული გარაჟები, იგივე ხეები.

არსად მეჩქარება, არსად გავრბივარ. ვპასუხობ დროებას, რომ ახლა მე ვარ აქ, კიდევ დიდხანს ვიქნები, და მერე სხვებიც გამოჩნდებიან.

მირიან რჩეულიშვილი